



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 25

2018 წლის 28 მარტი

ქ. ბათუმი

სოფელ აჭარისწყალზე მდებარე ამორტიზირებული კულტურული ცენტრის რეაბილიტაციისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის შესახებ პეტიციის მიზანშეწონილად მიჩნევის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 86-ე მუხლის მე-15 ნაწილისა და „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 თებერვლის №07 დადგენილების 72-ე მუხლის მე-16 პუნქტის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. სოფელ აჭარისწყალზე მდებარე ამორტიზირებული კულტურული ცენტრის რეაბილიტაციისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის შესახებ პეტიციის მოთხოვნა მიჩნეულ იქნას მიზანშეწონილად.
2. ქთხოვოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიას უახლოეს ვადებში განახორციელოს პეტიციის შესაბამისი მოთხოვნები.
3. განკარგულების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიას.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა №30) დაინტერესებული მხრის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ნადიმ ვარშანიძე